



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მერი ქვრივიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
ექსპერტი;

წევრები:

- მარი ფალელაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ნანა ავაზაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- თამარ ცხადაია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- სალომე ზარქუა -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- მარიკა ბოცვაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- მეგი კაპანაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ირმა ხუნდაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ნინო სალარაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- თამარ ზედგენიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- ლანა კუჭავა -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240393098

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ილიაწმინდა
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღი, სოფელი ილიაწმინდა
საფოსტო ინდექსი	4200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4abElfY
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	iliatsminda@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 988 215

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024
--	---



	წლის 27 მაისის ბრძანება MES 2 24 0000578227
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17.06.2024 / 18.06.2024 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სიღნაღი, სოფელი ილიაწმინდა; 1 შენობა
	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღი, სოფელი ილიაწმინდა; 1 შენობა



საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღი, სოფელი ილიაწმინდა; 1 შენობა
---	------------------	-------------	--------------------------------------

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 17 და 18 ივნისს სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლა -ში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მერი ქვრივიშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

- მარი ფალელაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
- ნანა ავაზაშვილი-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- თამარ ცხადაია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
- სალომე ზარქუა -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
- მარიკა ბოცვაძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
- მეგი კაპანაძე -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
- ირმა ხუნდაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
- ნინო საღარაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
- თამარ ზედგენიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
- ლანა კუჭავა -ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა სრულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებითი იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროცესებში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინტერვიუებში და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა საგნობრივ ექსპერტებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი რგოლია. საგნობრივი კათედრების წევრები აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან ერთმანეთთან, მუდმივ რეჟიმში იკრიბებიან და ერთობლივად გეგმავენ გასატარებელ ღონისძიებებს და მსჯელობენ სკოლაში სწავლა სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე. კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთად მუშაობენ საგნობრივ კურიკულუმებზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ასევე, თანამშრომლობენ სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან და გეგმავენ ერთობლივ გაკვეთილებსა და პროექტებს. აღსანიშნავია სკოლაში მშობელთა ჩართულობის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც კიდევ უფრო დაახლოებულს ხდის სასკოლო საზოგადოების ამ რგოლს სკოლასთან.

სკოლას ყავს მოტივირებული და გუნდის მიერ აღიარებული ლიდერი (დირექტორი). მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტია და ასევე მცირებიუჯეტია დირექტორი, და ასევე პერსონალი, ორიენტირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე. სკოლაში მუდმივად ტარდება სხვადასხვა სახის არაფორმალური აქტივობები, რაც ხელს უწყობს, როგორც სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტების ინტეგრაციას, ასევე მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების გავითარებას. სკოლაში იგრძნობა თანამშრომლობითი ორგანიზაციული კულტურა. წახალისებული და დაფასებულია სკოლის პერსონალის საქმიანობა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100 (ასი)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა სრული შესაბამისობით;
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისობით;
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა მეტწილ შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი I		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ,	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (3.19.2025-მდე), ასევე, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების



	უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	მოთხოვნებთან შესაბამისობა (7.22.2024-მდე).
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს მედიკამენტების შეძენა(9.16.2024-მდე).
ინდიკატორი 3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს კიბის უჯრეთში სამეთვალყურეო კამერის დამონტაჟება და ჩანაწერების უზრუნველყოფა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ -ით დადგენილი ვადით(7.22.2026-მდე).
3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა(14.03.2026-მდე) .

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.3	(საბაზო და საშუალო საფეხური)	ბუნებისმეტყველება: სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისად აღჭურვა(3.14.2025-მდე).

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N. 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლამ დააკონკრეტოს წლების მიხედვით გაწერილი აქტივობების ჩამონათვალი, რითაც კიდევ უფრო თვალნათელი გახდება ბმა სკოლის სამოქმედო გეგმასთან.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N 3.4.1.6..	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა აიყვენოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ზედმიწევნით მოარგოს 2024 წლის 6 ივნისს დაამტკიცებულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტს (ბრძანება Nკ-19) სკოლაში არსებული პროცესები.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N..		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმი	სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით, პედაგოგებმა სტანდარტის შესაბამისად კურიკულუმებში დაამატონ გამორჩენ ილი სამიზნე ცნებები
ინდიკატორი 2.1.2.1	საბაზო საფეხურის კურიკულუმი	სასურველია საბაზო საფეხურზე უცხოურ ენაში (ინგლისური) სტანდარტის მიხედვით, სამიზნე ცნებები, კერძოდ ტექსტი და ჟანრი ერთად არ იყოს წარმოდგენილი
ინდიკატორი 2.1.2.5.	საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმი	სასურველია საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით, პედაგოგებმა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მოარგონ თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“ (მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.4.1(1); 3.4.1(2)), ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად“ შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით. ხოლო ინდიკატორი (3.4.1(3)) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ“ შესაბამისი, ვინაიდან დაწესებულება ცვლილებებს ამ ინდიკატორთან მიმართებითაც უზრუნველყოფს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მასში დეკლარირებული მიმართულებებით, ფორმალური და არაფორმალური განათლებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლემ 21-ე საუკუნის ცოდნა და უნარ-ჩვევები განავითაროს და შეძლოს ცხოვრების სხვა ეტაპებზეც მათი სრულფასოვანი რეალიზება. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მისია ასახავს დაწესებულების დანიშნულებას, გამოხატავს მის იდენტობას. სკოლის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან და მასში ასახულია სკოლის მისწრაფებები. ღირებულებები კი წარმოდგენილია ისეთი პრინციპების სახით, როგორიცაა: კვალიფიციური კადრები, უსაფრთხო გარემო, მიმღებლობა, გამჭვირვალობა და თავისუფლება. **ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სკოლის მესვეურებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი, სასკოლო თემისა და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რასაც ასახავს მისიაში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს. აღსანიშნავია სკოლის გარე ტერიტორია (ეზო), სადაც ხორციელდება მრავალფეროვანი ფორმალური და არაფორმალური აქტივობები, როგორც შიდა სასკოლო, ასევე რაიონული პროექტები. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა წარმატება და შემოქმედებითობა. **ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლის ფილოსოფიის შედგენა განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიაზე მომუშავე ჯგუფმა ჩაატარა ელექტრონული გამოკითხვა, რომელიც განთავსდა სკოლის სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობდნენ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები (მშობელი, მოსწავლე/კურსდამთავრებული, მასწავლებელი). აღსანიშნავია, რომ გარკვეული საკითხებისადმი უფრო ნათელი სურათის შესაქმნელად ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუებიც, კვლევის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც საბოლოოდ განიხილა სამეურვეო საბჭომ სხდომა - N7 29/12/2023წ. **ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის. კერძოდ, შეთანხმებულია საზოგადოებასთან და გათვალისწინებულია მათი პრიორიტეტები და შეხედულებები. სკოლის მისიასა და ხედვაში ასახული ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო საზოგადოების მხრიდან. სკოლის მისია და ხედვა

თავდაპირველად შემუშავდა პროექტის სახით, რომელიც სასკოლო საზოგადოებას, რეკომენდაციების მიღების მიზნით, დახურული სოციალური ჯგუფის - „ილიაწმინდას საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა“- საშუალებით წარედგინა. საბოლოო სახით კი დადგინდა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - N7 29/12/2023წ. სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, იგი განთავსდა სოციალურ ქსელში -სკოლის იმავე დახურულ ჯგუფში. სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები არის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობის მისაღებ სივრცეში სადემონსტრაციო დაფის სახით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 ივლისის N379 ბრძანებულებით სოფელ ულიანოვკას ეწოდა სახელი ილიაწმინდა. სოფლისთვის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებით, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2011 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №192/ნ -ის საფუძველზე . სსიპ.სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ულიანოვკას საჯარო სკოლა“-ის სახელწოდება გახდა „სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო

სკოლა“. შესაბამისად სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კვლევის მასალები ;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- 2011 წლის 24 ნოემბრის ბრძანება №192/ნ სკოლის სახელწოდების შეცვლაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა მისიასა და ხედვაზე დაფუძნებით შეიმუშავებს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები. მეთოდოლოგიის დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებსაც. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ რა გზას/პროცესს გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში. **ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმის მიზანია, განსაზღვროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები, რომლებითაც სკოლა იხელმძღვანელებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, როდესაც ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, სკოლას მხედველობაში აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები. ამასთან, სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და შეესაბამება დაწესებულების მისიას. ხოლო სტრატეგიული მიზნის რეალიზების გზად წარმოდგენილია ამოცანები. შესაბამისად დგინდება კორელაცია აღნიშნულ გეგმასა და სკოლის ფილოსოფიას შორის. თუმცა სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმაში სკოლამ დააკონკრეტოს წლების მიხედვით გაწერილი აქტივობების ჩამონათვალი, რათა კიდევ უფრო თვალნათელი გახდეს ბმა სკოლის სამოქმედო გეგმასთან. **ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც თავდაპირველად დამტკიცებული იყო სასწავლო წლის დასაწყისში. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შემდგომ, (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3 18.03.2024წ), მოხდა აღნიშნულ გეგმის მოდიფიცირება - დარჩენილი პერიოდის მორგება სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, ისე რომ განვლილი პერიოდის შინაარსობრივი მხარე არ შეცვლილა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4 25.03.2024წ). სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები, განსახორციელებელი აქტივობები,

პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი. ერთწლიანი გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და სკოლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ამოცანების შესაბამისი აქტივობები დეტალური და სტრუქტურირებულია. შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები თუ შესაბამისი რესურსები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის მიერ განსახორციელებელ დაგეგმილ აქტივობებს. **ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წ.);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები: N 3 (18.03.2024წ) ; N 4 (25.03.2024წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (06.12.2023 წ; ბრძ. N13-19), რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის თანახმად სტრატეგიული გეგმა ფასდება მისი მოქმედების ვადაში 2-ჯერ (პროცესის შუა ეტაპზე და დასასრულს, 6 თვით ადრე 7 წლიანი ვადის დასრულებამდე). ხოლო 1 წლიანი სამოქმედო გეგმა წელიწადში 2-ჯერ (იანვარსა და ივნისში). დირექტორის მიერ ფორმირდება მიზნობრივი ჯგუფი, რომელიც მონიტორინგის პროცესში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხზე აწარმოებს საკონსულტაციო განხილვებს და გამოკითხვებს, შეიმუშავებენ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენენ დირექტორს, ხოლო დირექტორი-სამეურვეო საბჭოს. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგად, მუშავდება 2 ტიპის ანგარიში: სემესტრის ბოლო და წლიური ანგარიში. წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების, სტრატეგიის შუალედური შეფასებისა და სტრატეგიის შემაჯამებელი

შეფასების ანგარიშები ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 1.2.2.1**
დაკმაყოფილებულია.

2.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

3.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

4.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2024-2031 წ);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, „პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოს აღწერილობა, (ბრძანება N1კ-22), რომელიც განსაზღვრავს როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს. დოკუმენტში გაწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლაში არსებობს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლას აქვს ასევე დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ რომელშიც ასევე გაწერილია თანამშრომელთა ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში სულ 30 თანამშრომელია. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ერთმანეთს.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, სკოლის წესდებისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე.

როგორც გასაუბრებებისა და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის შედეგად დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ შესაბამის საკითხებს, გეგმავენ პროცესებს და მათი განხორციელების გზებს. **ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების გამოცდილება, ასევე დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოს აღწერილობა, (ბრძანება N 1კ-22), რომელიც არეგულირებს აღნიშნულ პროცესებს.

და განსაზღვრავს როგორც ადამიანური რესურსის, ასევე სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, როგორც სკოლაში, ასევე ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით და გარემოს შეფასებით დადგინდა, რომ თითოეული სტრუქტურული რგოლი ახორციელებს თავის უფლება-მოვალეობებს, რაც თავის მხრივ დადებითად მოქმედებს სწავლა-სწავლების პროცესებსა და შედეგებზე. **ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოს აღწერილობა”
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა”

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

1. სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ამ მიმართულებით, სკოლამ წარმოადგინა „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, ასევე „პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოს აღწერილობა“, რომელიც დამტკიცებულია, სკოლის დირექტორის მიერ. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის მართვის პროცესების ეფექტურად განხორციელებას. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტებში იკითხება სკოლაში თანამშრომლის მიღების, მასწავლებლის საქმიანობის

დაწყებისა და შეწყვეტის წესები. რაც შეეხება მასწავლებლის ხელშეკრულებებს, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ყველა დასაქმებული პირის პირადი საქმე (სულ 30) ყველა მათგანი შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

2.სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე.**ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“ ასევე „პერსონალის/სკოლის სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობა“. ამ დოკუმენტების მიხედვით, შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, ეს ყველაფერი კი, თავისმხრივ, უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას. სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელსა შემადგენლობაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. სკოლის სხვა პერსონალის შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით.

პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების პირად საქმეში მოთავსებულია: დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ცნობები. აღნიშნული დოკუმენტების, პირადი საქმეებისა და გასაუბრებების შედეგად დასტურდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ასევე პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას, დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას.**ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

4. სკოლაში ამ ეტაპზე დასაქმებულია 30 თანამშრომელი, აქედან 22 მასწავლებელია, მათ შორის 11 უფროსი და 11 წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე. სკოლამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა ძველი, უვადო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებები. ახალი ხელშეკრულებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლის სამედიცინო კაბინეტს ემსახურება ზოგადი პროფილის ექიმის (პედიატრი) კვალიფიკაციის მქონე პირი. იგი შერჩეულია კანონის სრული დაცვით, რომელსაც

ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესს“. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღო შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინდიკატორი 3.1.2.4.

დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

5. ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადსტურდა, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება გუნდური, კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი, მუშაობის პრინციპებს. სკოლაში მარტივად იგრძნობა, რომ გუნდი მუდმივად მზად არის თანამშრომლობისა და განვითარებისთვის.

დამრიგებელი მართავს სასწავლო პროცესებს და თანამშრომლობს საკუთარი კლასის სხვა მასწავლებელთან, მუდმივად აქვს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლობს დირექციასთან და მშობელთან. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე,

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში არის ურთიერთანამშრომლობის ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ღირებული გამოცდილება. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი**

3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

ინიკატორი 6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

6. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ წარმატებული გამოცდილებისა და აღიარების მიზნით სკოლაში ტარდება შეხვედრები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა ტრენინგზე მიღებულ გამოცდილებას, სამუშაო შეხვედრების დროს საუბრობენ იმ საკითხებზე, რომელიც აქტუალურია სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში .

სასკოლო საზოგადოების მხრიდან ამგვარი ჩართულობა სკოლაში აღიარებისა და წახალისების საფუძველია. სკოლას შინაგანაწესში აქვს განსაზღვრული წახალისების რა ფორმები შეიძლება იყოს გამოყენებული. მოსწავლისა და დასაქმებულის შემთხვევაში ინიციატივები, მოხალისეობა, სკოლის წარმატებაზე ზრუნვა, პროექტის წარმატებით განხორციელება განსაკუთრებული სირთულის ან/ და მნიშვნელობის კომპლექსური სამუშაოს შესრულება, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენა, პასუხისმგებლობის აღებისთვის. ასევე თანამშრომელთა შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, კეთილსინდისიერი სამუშაოს გაწევისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის/მოსწავლეთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება; სიგელით

დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა (მხოლოდ დასაქმებულის შემთხვევაში); დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) /შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. ამასთან სკოლაში ყოველწლიურად ხდება საუკეთესო პედაგოგის გამოლენა, რომელსაც გადაეცემა სპეციალური ჯილდო. კრიტერიუმების შედგენილია თავად პედაგოგების აქტიური ჩართულობით და სწორედ ამ კრიტერიუმების საფუძველზე ვლინდება გამარჯვებული. **ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- ადგილზე ჩატარებული გასაუბრებები;
- წახალისების მაგალითები დოკუმენტური სახით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა დაფუძნებულია პერსონალის საჭიროებებზე. როგორც სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, სკოლაში პერიოდულად ტარდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, (ზეპირი ფორმით, შეხვედრებისას), რომლის შედეგების გათვალისწინებით მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შედგენის და განხორციელების პროცესი. გარდა ამისა, ხშირია ისეთი პრაქტიკაც, როცა

დირექტორი თავად სთავაზობს დასაქმებულ პირებს განვითარებისა და პროფესიული ზრდის ახალ შესაძლებლობებს. ამასთან სკოლამ წარმოადგინა, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა მექანიზმები. მაგ. დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ გაწერილია სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების წინასწარ განსაზღვრული გამჭვირვალე მექანიზმები. ამგვარად, ყველა დასაქმებულმა პირმა თავიდანვე იცის, რა კრიტერიუმებით შეფასდება მათი მუშაობა. სწორედ ეს შეფასების მექანიზმი ეხმარება სკოლას იმაშიც, რომ დაინახოს დასაქმებულების პროფესიული განვითარებისთვის რა საჭიროებები არსებობს. ასევე გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ სკოლაში კარგად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“ მუდმივად მიმდინარეობს ზეპირი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან და ამის შედეგად იკვეთება ის საჭიროებები, რომელიც აქტუალურია კონკრეტულ ეტაპზე. **ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

2. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია სკოლის მასწავლებელთა შიდასასკოლო პროფესიული განვითარებისათვის დაგეგმილი შესაბამისი აქტივობები. როგორც გასაუბრების შედეგად დადგინდა, პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი კეთდება ახალი მასალის გაგების, სწავლის, პრაქტიკის კვლევის და თვითგანვითარების პროცესების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა ისიც, რომ თითოეულ პედაგოგს აქვს დამოუკიდებელი, თავისუფალი მოქმედების საშუალება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ პროექტები, დავალებები და სხვადასხვა სახის სიახლეები.

სკოლაში ყოველწლიურად ტარდება თანამშრომელთა შეხვედრები, სადაც წინასწარ განისაზღვრება ის საჭიროებები, რომელიც არსებობს მათთან და იგეგმება სხვადასხვა ტიპის ტრენინგებზე მასწავლებელთა დარეგისტრირება, ასევე იგეგმება სხვადასხვა აქტივობები კონკრეტული მიმართულებით. სკოლაში ასევე არსებობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად არის ჩართული ამ პროცესებში.**ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

3. სკოლაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შედეგად, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, სკოლაში არსებობს გამოცდილება, ინიციატივების წახალისების, პროფესიული განვითარების, საჭიროებების დადგენისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ სასკოლო რესურსების გამოყენების საშუალება. სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგად დგინდება პერსონალის საჭიროებები, რომელთა საფუძველზე მათ აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ და ჩაერთონ შესაბამის ტრენინგებში. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. მაგალითისთვის სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური ასისტენტის გადამზადების მაგალითი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ტერენინზე. **ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

4. სკოლა თანამშრომელთა გარემოსთან ინტეგრაციას ახორციელებს აქტიურად. „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში აღწერილია სასკოლო საზოგადოების, რომელი წევრი ან სტრუქტურული ერთეულია ჩართული ახალი თანამშრომლის ინტეგრირების პროცესში და კონკრეტულად რომელი მიმართულებით უწევს მხარდაჭერას. გასაუბრებისას კი დადგინდა, რომ პროცესში ჩართულია მთელი გუნდი. ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობა ძალიან ბუნებრივი და სასიამოვნო პროცესია მათთვის. მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ სკოლის ფსიქოლოგის ინტეგრაციის პროცესი, რომელთან თანამშრომლობის შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრებმა გაგვიზიარეს გამოცდილება. ფსიქოლოგის ინტეგრაციის პროცესი წარიმართა იმ გაწერილი გეგმის მიხედვით, რომელსაც კვითხულობთ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“. გარდა ამისა, როგორც გასაუბრებისას აღინიშნა, სხვადასხვა კლასში გაჩნდა საჭიროება, რომ ფსიქოლოგს ჩაეტარებინა საკონსულტაციო ზოგად ხასიათის შეხვედრები მოსწავლეებთან, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ინტეგრაციისა და ადაპტაციის პროცესს. ფსიქოლოგი აღნიშნავდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო თითოეული ნაბიჯი მისი გამოცდილებისთვის. **ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

5. სკოლაში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები დაწესებულების მიერ. როგორც აღინიშნა, ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად

ან ზეპირსიტყვიერად, სკოლას ძირითადად აქვს საჭიროებების ზეპირსიტყვიერად გამოკითხვის გამოცდილება.

მიმდინარე წელს სხვადასხვა კათედრის წევრებმა დირექციას მიმართეს ინიციატივით, რომ სკოლაში ჩატარდეს კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება გამოცდილების გაზიარება. ასეთ შემთხვევაში სკოლა აორგანიზებს კონფერენციას და ხელს უწყობს ყველა იმ ინიციატივას, რომელიც პედაგოგებს ეხმარება განვითარებასა და გამოცდილების სრულყოფაში.

3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ადგილზე ჩატარებული ინტერვიუები;
- შინაგანაწესი

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესების მართვა ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. ამ დოკუმენტის მიზანია სკოლაში პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული, სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარება. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სწავლა-სწავლების პროცესის რეგულირების ერთ-ერთ მექანიზმს და სწორედ მასზე დაყრდნობით მიმდინარეობს სკოლაში სხვადასხვა პროცესი. ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით“, რომელიც განსაზღვრავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა. ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. ხოლო დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსების მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსების მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმის წარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება. **ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

3. სკოლის თანამშრომლის, მშობლის, მოსწავლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები დაცულია დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტის“ საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრების მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი განხილვის ეფექტიანი მექანიზმი. საჩივრების ეფექტური სისტემა ემყარება პრინციპებს:

- წამოჭრილი პრობლემის არაფორმალური მოგვარების მხარდაჭერა;
- საჩივრების პროცედურის ხელმისაწვდომობა;
- საჩივრების პროცედურების სიმარტივე;
- გონივრული და მკაფიოდ განსაზღვრული დროის ფარგლები საჩივრის განხილვის , გამოძიებისა და გადაწყვეტისათვის;
- საჩივრით წამოჭრილი საკითხების სამართლიანი , სრული და მიუკერძოებელი განხილვა/გამოძიება და გადაწყვეტა. ინფორმაცია საჩივრების პროცედურების შესახებ გამოქვეყნებულია: სკოლის ვებგვერდზე;
- სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის წესდების მიხედვით.

საჩივრებს განიხილავს დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სააპელაციო კომიტეტი, რომელიც იქმნება სამეურვეო საბჭოს მიერ. ამ ეტაპზე სკოლაში საჩივრის განხილვა იწარმოებს დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლაში არ არის საჩივრის წარმოების მაგალითი.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

4. სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტიანობას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან

გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N13-15 გასაჩივრების დეტალური პროცედურების დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლის მშობელთა ხელშეკრულებები;
- მასწავლებლების ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

1. სკოლამ გაგვიზიარა სასკოლო საზოგადოების გამოკიხვის ფორმები, ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზი და უკუკავშირის გაცემა ხდება მშობლებისთვის სხვადასხვა ფორმით,

მაგალითად, ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ანგარიშების ფორმით და facebook ან სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. ადგილზე ვიზიტისას და წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობით გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან პერიოდულად ტარდება შეხვედრები სადაც განიხილავენ პრობლემებს და გაიცემა უკუკავშირიც. სკოლის შინაგანაწესი, წესდება, მისია და ხედვა განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. ხელშეკრულებების გაფორმების დროს მშობელს აქვს ინფორმაცია სკოლაში აღნიშნულ რეგულაციების თაობაზე და ადასტურებს ხელმოწერით. მშობელი დამრიგებლისა და ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ინფორმირებულია მოსწავლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, როგორც პირადი საუბრით, ასევე ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით ჩანს, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის ფეისბუქ გვერდის და ოფიციალური ვებ.გვერდის (<https://shorturl.at/PtJym>) გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს ეტაპობრივად სრულყოფილად ასახოს ინფორმაცია აღნიშნულ გვერდებზე. **ინდიკატორი**

3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

2.როგორც ვიზიტის დროს, ასევე დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადასტურდა, სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, პედაგოგიური საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის სახით. სკოლაში ხშირად ხდება მოსწავლეების ინიციატივის განხილვა. მოსწავლეების ინიციატივით იმართება დისკუსიები, სხვადასხვა პროექტები და იგეგმება აქტივობები. ასევე აღსანიშნავია

გამოცდილება, რომელიც არსებობს სწავლა-სწავლების მაგალითად, მშობლები მოსწავლეებს აცნობენ საკუთარ პროფესიებს და მართავენ დისკუსიებს სხვადასხვა საკითხებზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც ჩართულია დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. (ისგ), ჯგუფის შემადგენლობაში საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი შედიან.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროექტების ნიმუშები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია და გამოკითხვები.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

1. სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სსიპ

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის შენობაში სტუმრის შესვლა კონტროლდება მორიგე მასწავლებლის მიერ, სტუმრების შესახებ ინფორმაცია ინიშნება ვიზიტორების აღრიცხვის ჟურნალში. აღსანიშნავია, რომ როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე შესვენებების დროს ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები, როგორც სამასწავლებლოში, ისე სართულებზე გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას ჰყავს დარაჯი. სკოლას შექმნილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ბრძანებით დამტკიცებულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, 2022 წლის 24 თებერვალს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სკოლაში ჩატარდა დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაციები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2022 წლის 24 თებერვლის სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნის დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის N171 მიწერილობის თანახმად, შემოწმების დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის მიზნით, სკოლისათვის სავალდებულო გახდა გარკვეული ღონისძიებების შესრულება.

სკოლას საკუთარი ხარჯებით არ შეეძლო მითითებული ხარვეზების აღმოფხვრა და აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რომლის პასუხიც სკოლას არ მიუღია. ამ ეტაპზე სკოლას (ზემოხსენებული რეკომენდაციების შესასრულებლად) გააჩნია სახანძრო-საგანგაშო სისტემის პროექტი, მისი ინსპექტირების დასკვნა და სტანდარტებთან მისი შესაბამისობის შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული შეთანხმების დოკუმენტი. დარჩენილი მითითებების შესრულებას სკოლა დამოუკიდებლად ვერ ახერხებს. ამასთან სკოლამ 2023 წლის 25 დეკემბერს კვლავ გაიგზავნა წერილი (MES 2 23 0001762510) სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში სახანძრო უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.

შენობის ტექნიკური მდგომარეობის(მდგრადობის) დასკვნა სკოლას არ აქვს, თუმცა დირექტორმა მიმართა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისა და დასკვნის მომზადების თაობაზე (წერილი MES 2 24 0000235560 28/02/2024) , ასევე გააფორმა ხელშეკრულება და ელოდება შესაბამის შემოწმებას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც კონკრეტულ ვადებში შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) დასკვნის მომზადება გათვალისწინებულია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება. ასევე, ვინაიდან სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლამ მიმართა შ.ს.ს. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა. **ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

2. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია დაწესებულების პირველ სართულზე. აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით. დაცულია პრივატულობა და ამ თვალსაზრისით, შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ ბრძანება №41/ნ -ს. კაბინეტი ასევე უზრუნველყოფილია ჰიგიენისა და სადეზინფექციო საშუალებებით. ექიმის კაბინეტში, კედელზე გამოკრულია, როგორც პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, ასევე საინფორმაციო ხასიათის ბანერები -მაგალითად ჰიგიენის წესის შესახებ და სხვა. ექიმი აწარმოებს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამის დოკუმენტაციას. სკოლას არ აქვს მედიკამენტები, რადგან როგორც დადგინდა, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ვერ მოხერხდა სკოლის მხრიდან მონაწილეობა (როგორც ირკვევა სკოლამ დეკემბრის თვეში არ მიმართა შესყიდვების ეროვნულ სააგენტოს მედიკამენტების ტენდერით შესყიდვის მიზნით), ამასთან დაკავშირებით სკოლამ შესაბამისობის გეგმით გაწერა მედიკამენტებით სკოლის უზრუნველყოფის ვადები, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს სკოლამ მედიკამენტების შეძენა. **ინდიკატორი**

3.4.1.2 მეტწილად დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

3. სკოლაში უსაფრთხოების წესების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით N 06/ნ (29/01/2019წ). გაწერილი რეგულაციებით. სასკოლო დროს სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე ეს პირი ან მორიგე მასწავლებელი აკეთებს

შესაბამის ჩანაწერს ვიზიტორთა რეგისტრაციის ჟურნალში .სკოლაში დამტკიცებულია მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეკომენდაციებს იძლევა სკოლის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია: ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი; ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი; გ) სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომერი; დ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი; ე) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი .

სკოლაში „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშოებების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების დაცვით, დამონტაჟებულია უსაფრთხოების 14 კამერა, რომლებიც ფარავს თითქმის ყველა (როგორც შიდა ასევე გარე პერიმეტრის) საერთო სარგებლობის სივრცეს. სკოლაში არსებული სამეთვალყურეო კამერებით ვერ კონტროლდება შენობის შიდა კიბის უჯრედები. გარდა ამისა, აღნიშნული კამერები ინახავს მხოლოდ 7 დღის ჩანაწერს ნაცვლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ -ით დადგენილი პერიოდისა (30 დღე). ვინაიდან სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების შენახვის ვადები დარღვეულია და ასევე ვერ კონტროლდება სკოლის შენობის კიბის უჯრედები, სკოლამ მიმართა სსიპ -საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, შესაბამისი თანხების გამოყოფის თაობაზე.შესაბამისად სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოს კიბის უჯრეთში სამეთვალყურეო კამერის დამონტაჟება და

ჩანაწერების უზრუნველყოფა შესაბამისი ვადებით. **ინდიკატორი 3.4.1.3. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

4. სკოლა უზრუნველყოფს დადებითი, მხარდამჭერი და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიზნით, სკოლაში მუდმივად ტარდება სხვადასხვა აქტივობები. ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელების მიზნით, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი), რომელიც საჭიროების შემთხვევაში იხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობის დადგებილებით (N437 12.09.2016 წ.). უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით დამრიგებლებს სადამრიგებლო პროგრამებში ჩაშენებული აქვთ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო პირობების განმსაზღვრელი სხვადასხვა აქტივობები. პერიოდულად ტარდება მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრები ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე, დაიგეგმა და განხორციელდა პროექტი „ძლიერი არ ძალადობს“, ასევე პროექტი "გავრცელებული კიბერსაფრთხეები და მათი პრევენცია", ამგვარი წამოწყებები ატარებს პრევენციულ ხასიათს და როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, სკოლა ცდილობს მაქიმალურად ინფორმირებული იყვნენ მოსწავლეები ამ საკითხებთან მიმართებით. **ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, პერიოდულად ხდება დეზინფექცია და ამ პროცედურის შესაბამისად აღრიცხვა. ამ მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების ჰიგიენურად მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ,

ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ნარჩენების ადგილზე ვიზიტისას სკოლა ჰიგიენური თვალსაზრისით მოწესრიგებული იყო. სკოლას ასევე აქვს მოწესრიგებული ადაპტირებული საპირფარეშო. როგორც გასაუბრებისას გაირკვა, სკოლის ექიმიც მუდმივად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

6. სკოლას ყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირი. სკოლა იყენებს eSchool-ს ძირითადი მონაცემების ასახვისთვის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი (საჭიროების შემთხვევაში დირექტორი). დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შესაბამის სივრცეში. მასწავლებლებს აქვთ ვალდებულება დაიცვან მოსწავლის პირადი ინფორმაცია. ამასთან 2024 წლის 6 ივნისს სკოლის დირექტორმა დაამტკიცა პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება Nკ-19), როგორც მასწავლებლებისგან ასევე მშობლებისგან სკოლას აქვს წერილობითი თანხმობები ფოტო/ვიდეო მასალის სკოლის პორტალზე eTwining და სოციალურ ქსელში განთავსებასთან დაკავშირებით, აგრეთვე, დასაქმებული პირებისგან სკოლას აქვს წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. სასურველია სკოლამ აიყენოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და ზედმიწევნით მოარგოს აღნიშნულ დოკუმენტს სკოლაში არსებული პროცესები. **ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

7. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. როგორც გასაუბრებების შედეგად დადგინდა, პირადი მონაცემების დაცვისთვის სკოლას ეხმარება პერსონალისა და მასწავლებელთა მონაცემების დაცვის სისტემები- eFlow, eSchool, ელ. ჟურნალი.

სკოლას ემსახურება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დანიშნული კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტი, რომლის დახმარებითაც სკოლაში დაინსტალირებული ანტივირუსული პროგრამები ლიცენზირებულია. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს, სადაც, ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით, დაბლოკილია სოციალური ქსელები. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებზე ვალდებულება ზეპირსიტყვიერად დაკისრებული აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს. **ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია**

8. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი;
- ექსპერტიზის ბიუროდან მდგრადობის შესახებ ხელშეკრულება;
- სკოლის მიერ წარდგენილი წერილი დაფინანსებაზე (მდგრადობის შეფასებისთვის);
- eSchool-ის ბაზები;
- სახანძრო უსაფრთხოების წერილები;

◦ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

1. სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლას, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სარგებლობაში აქვს 12 700 კვ.მ. ფართი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით. სკოლის შენობა 3 სართულიანია, მიშენებული სპორტდარბაზით. შენობის სასწავლო ფართი 2 808 კვ.ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები და გარკვეული საკლასო ოთახები სარემონტოა, თუმცა, არსებობს საკმარისი რაოდენობის კეთილმოწყობილი, მოსწავლის მერხითა და სკამით აღჭურვილი

საკლასო ოთახები (ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება). შენობაში ასევე განთავსებულია გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინგლისური ენის, ხელოვნების და კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტები, ასევე- სამასწავლებლო, დირექტორის, ექიმის კაბინეტი, კანცელარია, ბიბლიოთეკა და რესურსოთახი(რომელთა ნაწილიც სარემონტოა). პირველ სართულზე ფუნქციონირებს სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, აქედან ერთერთი ადაპტირებულია შშმ მოსწავლისთვის, სკოლას აქვს სააქტო და სპორტული დარბაზები, ასევე სკოლის ეზოში 300 კვ.მ-ის სპორტული მოედანი.

შენობაში, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობა და უწყვეტი ელექტროენერგია. ინტერნეტზე წვდომა ფიქსირდება დირექტორის ოთახში, სამასწავლებლოში და კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გარკვეულ სივრცეებში აღინიშნება სახურავიდან წყლის ჩამონაჟონები, ამ ეტაპისთვის სკოლა კაპიტალურად გადახურულია და ამ კუთხით მხოლოდ სარემონტო საჭიროება იკვეთება.კეთილმოწყობა ჭირდება ასევე საბუნებისმეტყველო კაბინეტებს.

სკოლის როგორც საკლასო, ასევე საერთო სარგებლობის სივრცეები გაფორმებულია სხვადასხვა თვალსაჩინოებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით. ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში, ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაზუსტდა, რომ სკოლას სარგებლობაში აქვს შესაბისი რაოდენობის მერხები და სკამები, კომპიუტერული ტექნიკა (30 ლეპტოპი; 6 პერსონალური კომპიუტერი) და პრინტერები (ჯამში 4). ყოველივეს გათვალისწინებით სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უზრუნველყოფილი გარემო ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

2.სკოლის სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს და პედაგოგებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, სპორტული და სააქტო დარბაზებით, სხვადასხვა სახის კაბინეტებით და კომპიუტერული ლაბორატორიით, რომელთაც აქვთ თვალსაჩინო ადგილას გამოკრული მუშაობის წესები. **ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

3.სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა ფინქციონირებს შესაბამისი წესების თანახმად, ბიბლიოთეკას სარგებლობაში აქვს ერთი კომპიუტერი. შემთხვევითობის პრინციპით ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ბიბლიოთეკის წიგნები, თითოეული მათგანი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი (ორშაბათი-პარასკევი 09:00-17:00 სთ) და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არის მკითხველის ბარათები. წიგნადი ფონდი აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც აღინიშნება: ინვენტარის ნომერი, წიგნის ავტორის სახელი და გვარი, წიგნის სათაური, გამოცემის წელი, შენიშვნა. ბიბლიოთეკარი ჟურნალში აწარმოებს საბიბლიოთეკო რესურსის გატანასა და დაბრუნების აღრიცხვას.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, პერიოდიკა (რომელსაც ადგილობრივი რესურსცენტრი აწვდის სკოლას პერიოდულად) და ა.შ. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

4. სკოლას აქვს პირველ სართულზე განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი და რესურს ოთახი, თუმცა შენობაში შესასვლელად ეზოდან რამდენიმე საფეხურის ავლაა საჭირო, საფეხურებზე (გარე /შიდა) არაა მოწყობილი პანდუსები, ასევე ისეთი საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა გეოგრაფიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ინგლისური ენის, ხელოვნების და კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტები, მდებარეობს მეორე და მესამე სართულებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას არ აქვს პანდუსები, ვერ ხერხდება სსსმ მოსწავლეთათვის სასწავლო პროცესის ადაპტირება. სკოლამ პანდუსის მოწყობის თაობაზე წერილით მიმართა სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს (MES 2 24 0000307335 14/03/2024) და ელოდება შესაბამის რეაგირებას. ამასთან წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლას აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება გაწერილი აქვს კონკრეტულ ვადებში, აქედან გამომდინარე გაიცა რეკომენდაცია დადგენილ ვადებში უზრუნველყოს სკოლამ პანდუსის მოწყობა **ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ დააკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

5. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და გაწვანებული ეზო, სადაც ეწყობა შემეცნებით-გასართობი აქტივობები, სხვადასხვა სახის

ფესტივალები და გამოფენები. აღნიშნულ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ესწრებიან მოსწავლეები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტების კონკურსში „ისწავლე უსაფრთხო გარემოში“ სკოლამ გაიმარჯვა და მოიპოვა დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც სკოლის უკანა ეზოში ზეთისხილის ნერგები დაირგო.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის სააქტო დარბაზი გამოიყენება სამუშაო შეხვედრებითვის, საზეიმო ღონისძიებებისთვის, ინტელექტუალური ვიქტორინების და ასევე პროექტების ჩასატარებლად. სპორტულ დარბაზში ეწყობა სპორტული შეჯიბრებები, მხიარული სტარტები და სხვა. ბიბლიოთეკა გაწერილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით გეგმავს და ატარებს შემეცნებით აქტივობებს. **ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წერილი სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს (MES 2 24 0000307335

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

1. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია , კერძოდ, 30 (ოცდაათი) ლეპტოპი და 6(ექვსი) პერსონალური კომპიუტერი, აღნიშნული ტექნიკა ძირითადად განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადა არის ინტერნეტთან წვდომა. აღნიშნული სივრცით სარგებლობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი შესაბამისი წესის თანახმად. ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

2.სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი, ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით, როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაკაკვეთილო პროცესში. კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება ხდება სასურველი ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, ამ ინფორმაციის სხვებთან გაცვლასა და გაზიარების

მიზნით, ეწყობა პრეზენტაციები, ღია გაკვეთილები, მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები. პროექტული მუშაობის დროს ხდება ამ სივრცის გამოყენება. **ინდიკატორი 3.6.1.2.**

დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ლაბორატორიის გამოყენების წესი;
- ვიზუალური დათვალიერება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1 სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

1. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება როგორც ელექტრონულად, (EFLOW) -ს სისტემის საშუალებით, ასევე მატერიალურად. დამტკიცებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი (03.04.2024. ბრძ. N1კ-18). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: წესის მოქმედების სფერო; დოკუმენტბრუნვის ორგანიზება; შემოსული დოკუმენტაციის ცნება, სახეები; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადება და გაფორმება; წერილის გაფორმება; ოქმი; ცნობა; კორესპონდენციის განხილვისა და პასუხის მომზადების წესი;

შემოსულ დოკუმენტაციაზე ხარვეზის დადგენა; დოკუმენტის ასლის გაცემის წესი; დოკუმენტაციის დამოწმება; სკოლის სატიტულო ფურცლის დანიშნულება; სარეგისტრაციო ჟურნალები და კორესპონდენციის აღრიცხვისა და გაცემის წესი.

საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: iliatsminda@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 3 სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. ასევე არის ასახული, სკოლის მიერ შერჩეული გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, მონაცემები სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლებისა და სკოლის მთლიანი პერსონალის შესახებ, მასწავლებელთა პირადი პროფილი. ასევე ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. **ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

4. დაწესებულება თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვადასხვა უწყებებთან, რომლებსაც შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას. სკოლას რეგულარულად აქვს კავშირი ელექტრონული ფოსტა iliatsminda@mes.gov.ge -ის საშუალებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლების ინფრასტრუქტურის სააგენტოსა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან. ფოსტის საშუალებით სკოლა იღებს ასევე ინფორმაციას სიახლეების შესახებ, კერძოდ, მასწავლებელთა ტრენინგების, ტრენინგების დამადასტურებელი ცნობების, გრიფირებული სახელმძღვანელოების, სხვადასხვა სასწავლებელთან შეხვედრების და ღია კარის დღეების, მოსწავლეთა ოლიმპიადების, ინტელექტუალური შეჯიბრებების შესახებ. **ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

1. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, მასზე განთავსებული საკონტაქტო ინფორმაცია იძლევა დაწესებულებასთან კომუნიკაციის შესაძლებლობას. მათ შორის, უკუკავშირის გაკეთების საშუალებას. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის, გარდა ვებგვერდის და სოციალური ქსელისა, სკოლა იყენებს: მოკლეტექსტურ შეტყობინებებს; სატელეფონო ზარებს; ელექტრონულ ჟურნალს; სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს (მაგ. დაგეგმილი აქტივობები, მშობელთა კრებები და ა.შ.), სხვადასხვა მიზნობრივ კითხვარებს. ვებგვერდი <https://bit.ly/4abElfY> ინფორმატიულია, მასზე წარმოდგენილი ინფორმაციაა - სკოლის საკანონმდებლო ბაზა, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები, პირველკლასელთა ლიმიტები და ა.შ.

სოციალური გვერდი <https://www.facebook.com/iliatsmindasskola> -საჯაროა, აღნიშნულ გვერდზე ეტაპობრივად ხდება განთავსება სკოლის სიახლეების, მიღწევებისა და სხვა საქმიანობის ამსახველი მასალის. მისი საშუალებით სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა სკოლას აქვს სოციალურ ქსელში დახურული და ღია ჯგუფები, რაც კიდევ ერთი დასტურია, რომ სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. **ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. მათ გავრცელებას უზრუნველყოფს სკოლის მიერ დანიშნული სოციალურ

ქსელზე პასუხისმგებელი პირი (საქმისმწარმოებელი) ან/და / დირექტორი . eFlow-სა და ელექტრონული ფოსტის iliatsminda@mes.gov.ge - საშუალებით სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებულ ინფორმაციებს საქმისმწარმოებელი, დირექტორთან შეთანხმებით, ახარისხებს და უგზავნის შესაბამის სამიზნე ჯგუფს/პიროვნებას: სკოლის თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას გზავნის მათ დახურულ ჯგუფებში, საჯარო ინფორმაციას კი განათავსებს სასკოლო საზოგადოებისთვის განკუთვნილ ჯგუფში. ასევე სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. აქედან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. შესაბამისად **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი 3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

3. სკოლა იყენებს ტექნოლოგიებს სასკოლო საზოგადოების აზრის/შეხედულებების გამოსაკვლევად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ კითხვარების ნიმუშებს, რომლითაც ხორციელდება გამოკითხვა. შემდგომ კითხვარების დამუშავება და ტენდენციების გამოკვეთა, რის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები.

ამასთან სკოლამ საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით „ილიაწმინდას მოსწავლე-ახალგაზრდობის“ დახურულ facebook- გვერდზე გააზიარა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის თუ 1 წლიანი სამოქმედო გეგმის პროექტები და

სკოლის ლოგოს შესარჩევი გამოკითხვა. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მიღებულ უკუკავშირებს იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ითვალისწინებს საზოგადოების მოსაზრებებს თუ პოზიციას გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 4 სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

4.სკოლის ვებგვერდი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. იგი ქართულენოვანია და მუდმივად განახლებადი. ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5 ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

5. სკოლის ვებგვერდი <https://bit.ly/4abElfY> ინფორმატულია და მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ შემდეგ ინფორმაციას: სკოლის საკანონმდებლო ბაზა, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, პროგრამები, მხარდაჭერის სერვისები, პირველკლასელთა ლიმიტები და ა.შ. ვებგვერდი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, მასზე

ინფორმაციის განთავსების უფლება და ხელმისაწვდომობა აქვს
საქმისმწარმოებელს. ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

1. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს დამატებით დაფინანსებას დეფიციტის დაფარვის მიზნით და ასევე მასწავლებელთა დანამატს. სხვა დამატებითი შემოსავლები სკოლას არ აქვს. სკოლას ბიუჯეტით გაწერილი აქვს სხვადასხვა

სახის თანამდებობრივ სარგო(როგორც დირექციის , ასევე პერსონალის), შტატგარეთ მომუშავეთა ანაზღაურება, სახარჯი მასალისა და კომუნალური ხარჯები, ასევე სხვა მოსალოდნელი ხარჯები.

წლის განმავლობაში, სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე, იცვლება ბიუჯეტი სამეურვეო საბჭოს თანხმობით.მაგ. გათბობის სეზონზე სკოლას ჭირდება დამატებითი დაფინანსება კომუნალური გადასახადების გასასტუმრებლად, რისთვისაც ყოველი თვის 15 რიცხვამდე აგზავნის წერილს დამატებითი დაფინანსების მოთხოვნით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინტერესებს. **ინდიკატორი 3.7.1.1**

დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი 2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

2.ფინანსური დაგეგმვისას ხდება წინა სასწავლო წლის ფინანსური ანალიზი და შემოსავლების პროგნოზირება. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანა.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი**
დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- დირექტორის ბრძანება - “სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ილიაწმინდას საჯარო სკოლის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს დარაჯი და მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია სკოლის მიერ. შემუშავებულია გასაჩივრების

დეტალური პროცედურები. ასევე ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **4.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები, რომელიც მოსწავლის კანონიერ უფლებების დაცვას ითვალისწინებს, საჯაროა და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე და სკოლის დახურულ სოციალურ ჯგუფში. აგრეთვე,დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო განიხილავს სკოლის შინაგანაწესს, და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს სასკოლო რეგულაციებს , რაც დასტურდება ხელმოწერით.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ინდიკატორი 3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

